

-ოზ-ით სუფიქსით ნაწარმოები ზმნისართები
თანამედროვე ქართულ ენაში

ნაწარმოებ სახელებში გამოიყოფა ჯგუფი სიტყვებისა, რომლებსაც -ოზ-ით აფიქსი ერთვის. ეს აფიქსი სახელთაგან წარმოქმნის ზმნისართებს, რომლებიც დროსა და წონა-ზომას (ოდენობას) აღნიშნავენ. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შესულია არაერთი ასეთი ზმნისართი, მაგ.: ასობით, ათასობით, გაზაფხულობით, გირვანქობით, დასტობით, დილაობით, ზამთრობით, ზაფხულობით, თვეობით, თუნგობით, თითო-თროლობით, თუმნობით, თოფობით, კალათობით, კვირაობით, კილოგრამობით, კოდობით, მილიონობით, მეტრობით, მანეთობით, მისხლობით, ნელ-ნელაობით, ტონობით, საათობით, სამშაბათობით, საღამოობით, პარასკეობით, ოცობით, ჩაფობით, შაურობით, შაბათობით, ღამეობით, ფუთობით, ცალობით, წვეთობით, წუთობით, წლობით, ხელადობით, ხუთშაბათობით და სხვ.

ასეთი წარმოების ყველა სიტყვას ის აერთიანებს, რომ მათი შინაარსი გულისხმობს რამდენჯერმე გამეორებულ ერთს (ერთეულს). ასე მაგ.:

ათასობით ნიშნავს ბევრ ათასს, ათასების გამეორებას:

ფუტკრები ათასობით და ათიათასობით ცხოვრობენ პატარა და ვიწრო სკაში (ი. გოგებ.).

გაზაფხულობით ნიშნავს „ყოველ გაზაფხულზე“, „ყოველთვის გაზაფხულზე“ (ბევრი, გამეორებული გაზაფხულებია!).

თან მოვლევ გაზაფხულობით ენძელასა და იასა (შ. მღვამ.).

გირვანქობით ბევრ გირვანქას, გირვანქებს გულისხმობს.

შეშა და ხისა და ქვის ნახშირი აქ გირვანქობით იყიდება (ი. მაჭავ. თარგმ.).

დილაობით, ზამთრობით, ზაფხულობით ნიშნავს „ყოველ დილას (ზამთარს, ზაფხულს)“, „ყოველთვის დილით (ზამთარში, ზაფხულში)“. ისევ ბევრი, გამეორებული დილები, ზამთრები, ზაფხულებია!

დილაობით კარგად ციოდა (შ. არაგვ.).

ბერო... ზამთრობით კახეთში იარებოდა (ბაჩ.).

ბურსაჭირის ღელე ზაფხულობით უნდა ნახოს კაცმა (ა. ყაზბ.).

თოფობით, ფუთობით ნიშნავს თოფების (თოფი ქსოვილის საზომი ერთეულია), ფუთების გამეორებას, ბევრი თოფის, ფუთის გამოყენებას.

სხვას... ნაკლებ არ მიეცემ, თოფობითაც რომ იყიდოს (ლ. არდ.).

ღენოსა სვამენ ღვევები, თან ლეშსა სვამენ ფუთობით (ვაჟა).

წლობით — აქაც გამეორებული, ბევრი წელი, წელიწადი ივარაუდება.

წლობით შექმნილს კარგავს წამითა (აკაკი).

[ოტია] წლობით არ გადიოდა ჭიშკარზე (ნ. ლორთქ.).

-ობით სუფიქსით ნაწარმოებ სიტყვებში მნიშვნელობის მხრივ ორი ჯგუფი გამოიყოფა: ოდენობის (წონა-ზომის) აღმნიშვნელი ზმნისართები და დროის აღმნიშვნელი ზმნისართები.

ოდენობის (წონა-ზომის) აღმნიშვნელი ზმნისართებია:

ათასობით, ასობით, გირვანქობით, დასტობით, ვაგონობით, თოფობით, თითობით, თუნგობით, თუმნობით, კალათობით, კილოგრამობით, კოდობით, მანეთობით, მარცვლობით, მეტრობით, მილიონობით, მისხლობით, ნაჭრობით, პარაგრაფობით, ფუთობით, ღერობით, შაურობით, ჩაფობით, ცალობით, წვეთობით, ხელადობით...

ყველა ეს სიტყვა გადმოსცემს განმეორებით ერთსა და იმავე ოდენობას. -ობით სუფიქსი აღნიშნავს რაიმე ოდენობას, განმეორებით აღებულს; რაიმე ბევრს, ერთმანეთის მიყოლებით აღებულს; განმეორებით ერთსა და იმავე ოდენობას — და ამიტომ ბევრს.

ოდენობის (წონა-ზომის) აღმნიშვნელ ზმნისართებში ორი ქვეჯგუფის გამოყოფა ხერხდება. პირველს ქმნიან შემდეგ მაგალითებში დამოწმებული ზმნისართები:

ღღეს გირვანქობით აღარავინ ყიდის რამეს (ვაჟა).

ე. ი. გირვანქის წონით, გირვანქის ოდენობით, გირვანქებად, გირვანქა-გირვანქა.

კვერცხებს კალათობით ყიდის ხოლმე (მ. ჭავჭავ.).

კალათის მიხედვით, კალათებით, კალათებად.

ყარამანი მიჰყვა ნელ-ნელა ნაჭრობით მამულს ყიდვას (ს. ყიფ.).

ნაჭრებად — ნაჭერ-ნაჭერ.

კომიტეტი შეუდგა საბჭოთა კავშირის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტისათვის კენჭისყრას პარაგრაფობით („კომუნისტი“).

ე. ი. პარაგრაფების მიხედვით.

ურმით შემოტანილი მარცვლობით უნდა გამოვიდესო (ანდაზა).

კრიკა... ხორბალს, თითქოსა თვლისო, მარცვლობით ქვის ყელში ყრის (შ. არაგვ.).

ე. ი. მარცვლებად, მარცვალ-მარცვალ.

[პეპლები] დებენ ოცობით პაწია მოყვითალო კვერცხებსა (ი. გოგებ.).

ე. ი. თითო ჯერზე ოცს, ოც-ოცს.

მიკიტანი ღვინოს ხელადობით ყიდდა (მ. ჭავჭავ.).

ე. ი. ხელადებად, ხელადობრივ.

რით განსხვავდება ერთმანეთისაგან მაგ. კალათით და კალათობით, ჩაფით და ჩაფობით, ხელადით და ხელადობით? კალათობით, ჩაფობით, ხელადობით ფორმები გულისხმობს, რომ კალათი, ჩაფი, ხელადა რამდენჯერმე განმეორდება. ამიტომ კალათობით ნიშნავს „კალათებით, კალათებად“; ჩაფობით ნიშნავს „ჩაფებით, ჩაფებად“; ხელადობით ნიშნავს „ხელადებით, ხელადებად“.

მაშინაც კი, როცა -ობით სუფიქსით ნაწარმოებ ზმნისართს თითო ზედსართავი ახლავს, ამ ზმნისართით გამოხატული ოდენობა სიმრავლეს გულისხმობს. მაგ.:

სულ თითო თხილობით ვაგროვე (ვაჟა)¹.

სესხულობდნენ... თითო-თითო თუმნობით ფულს (ნ. ლორთქ.).

[ლოდებს] დავცქერი თავზედა, თითო-ორიოლ წვეთობით ნამს ვასხურებ (ვაჟა).

აქ ყველგან, თითო თხილი იქნება, თითო თუმანი თუ თითო-

¹ ეს ფრაზა დამოწმებული აქვს ა. შანიძეს, როცა იგი -ობა მაწარმოებელზე მსჯელობს („ქართული გრამატიკის საფუძვლები“ 1953, გვ. 132).

ორილა წვეთი, — რამდენჯერმე გამეორებული იგულისხმება და საბოლოოდ თხილები, თუმნები და წვეთები გვაქვს.

ამ ქვეჯგუფში გაერთიანებული ზმნისართები, -ობ-ით სუფიქსით ნაწარმოებნი, აღნიშნავენ რაიმე ოდენობას, ერთდროულად აღებული, ოდენობას, რომლის მიხედვითაც რისამე გაზომვა, დაგროვება ხდება. ზემოჩამოთვლილ მაგალითებში გირვანქობით, კალათობით, ოცობით, პარაგრაფობით, მარცვლობით, ცალობით, ცოტცოტაობით, წვეთობით, ხელადობით აღნიშნავენ, რომ რისამე ოდენობა გირვანქებით, კალათებით, ოცებით, პარაგრაფებით, მარცვლებით, ცალებით, ცოტ-ცოტად, წვეთებით, ხელადებით გაიზომება, გროვდება, რომ თითო ჯერზე აღებულია ესა თუ ის ოდენობა (მაგ., ოცი). ზემოთჩამოთვლილ სახელებზე -ობ-ით სუფიქსის დართვა სძენს მათ ზმნისართულ შინაარსს.

ოდენობის (წონა-ზომის) აღმნიშვნელი ზმნისართების მეორე ჯგუფში შემდეგი ტიპის მაგალითები შედის:

ფუტკრები ათასობით და ათიათასობით ცხოვრობენ პატარა და ვიწრო სკაში (ი. გოგებ.).

იგულისხმება ბევრი ათასი და ამიტომ ძალიან ბევრი, მრავლად.

[თათრები] იქ, ჩვენთანამდიც მოლიან, ცხვარსა ფარობით გვტაცებენ (ვაჟა).

ე. ი. მთელ ფარებს, ბევრს.

[მწყრის] ყოველი ბუღის მოშლა კოდობით უმცირებს გლესს პურის ხევისა (ი. გოგებ.).

ე. ი. დიდი რაოდენობით, ბევრად.

ყოველწლიურად მილიონობით მანეთი იხარჯება („კომუნ.“).

ე. ი. რამდენიმე მილიონი და ამიტომ ბევრი.

ტონობით ძვირფასი სასუქი ფუჭდება („კომუნ.“).

ე. ი. ურიცხვი, უამრავი.

ეს ზმნისართები, პირველ ქვეჯგუფში გაერთიანებულთა (გირვანქობით, კალათობით, ხელადობით...) მსგავსად, ისევ გარკვეულ ოდენობას აღნიშნავენ, რომლის მიხედვითაც რისამე გაზომვა, დაგროვება ხდება, მაგრამ აქ გადატანითი მნიშვნელობაა და საზომად აღებული ერთეული, ბევრჯერ გამეორებული, დიდ ოდენობას ქმნის, ამ შემთხვევაში -ობ-ით სუფიქსით ნაწარმოები ზმნი-

ამ მაგალითებში შუვა ღამე- სიტყვის მსაზღვრელია და მასთან ერთად კომპოზიტს ქმნის (შუვაღამე).

2. მეორე მხრით, შუვა ზმნისართია და ზმნასთანაა დაკავშირებული.

და ჰრქუა კაცსა მას, რომელსა-იგი ჰელი განჰმელ ედგა: წარმოდეგ შუვაჲ (C მრ. 3,3).

მაგრამ შეიძლება დაუკავშირდეს სახელსაც:

მაშინ რომელნი ჰურიასტანს იყენენ, ივლტოდედ მათთ კერძო; და რომელნი იყენენ შუვა მისა, განივლტოდედ. (C ლ. 22,21).

და ვითარცა შემწუხრდა, იყო კუალად ნავი იგი შუვა (შოვა D) ოდენ ზღუასა მას (DE მრ. 6,47).

ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა შუვა (შოვა)-საგან ნაწარმოებ საშოვალ-ს:

აღვიდოდა ადგილსა მას, რომელსა ჰრქუნდ თხემ, რომელსა ერქუმის ებრა-ელებრ გოლგოთა, სადა ჭუარს-აცუეს იგი, და მის თანა ორნი სხუანი იმიერ და ამიერ და საშოვალ იესუ (C ი, 19, 17—18).

შუვა-საგან ნაწარმოები მშუვალე ძველ ქართულში შუათანას, საშუალს ნიშნავს:

და ძმანი მისნი ყოველნი და დიდებულნი ჰკლმწიფენი — ადარნასე უხუცესი და გუარამ მრწემი, — მშუვალესა მას ძმასა მორჩილ ექმნენს საღმრთოჲსა ძმობისა სიყუარულითა, რამეთუ ერთზრახვა, ერთსულ და ერთნება იყენეს იგინი!.

უხუცესი, მშუვალე და მრწემი!

„ვეფხისტყაოსანში“ უკვე შუა გვაქვს. დადასტურებულია მხოლოდ ზმნისართის მნიშვნელობით.

იგი სხვაა, სიძეა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი (24).

სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა გიშრისა სატები (267).

მას ჰგვანდეს, თუმცა სამყაროს მზე უჯდა შუა მთვარეთა (1495).

თანდებულის ფუნქციით:

1 ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ, ნ. მარის გამოცემა, გვ. კვ; Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII, С.—Петербург, 1911.

2 აკ. შანიძის რედაქციით გამოქვეყნებულ „ვეფხისტყაოსნის სიმფონიაში“ თუმცა ზედსართავის მნიშვნელობითაცაა ერთ შემთხვევაში შეტანილი შუა, მაგრამ იგი ამ შემთხვევაშიც ზმნისართია („მიბრძანა; თუ: „ხამს დიაცი დიაკურად, საქმე-დედლად, დიდსა სისხლსა ვერ შეგაქმნევ, ვერ ვიქმნები შუა კედლად“: 542. შუა კედლად ვერ ვიქნები კი არა, არამედ შუა (=შუაში) ვერ ვიქმნები კედლად.

ორ შაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი კლდეზედა (ხალხ.).

ე. ი. ორშაბათ დღეებში.

დიდ სოფელში... პარასკეობით ან კვირაობით ბაზარი იმართება (ი. გოგებ.).

ე. ი. ყოველ პარასკევს (კვირას).

განცხადებების მიღება წარმოებს... სამშაბათობით, ხუთშაბათობით („ახალგ. კომუნ.“).

ე. ი. ყოველ სამშაბათს (ხუთშაბათს).

სალამობით დარეჯანი... გამოიპრანჭებოდა ხოლმე (ილია).

ე. ი. ყოველთვის სალამოს.

შაბათობით... კანცელარიაში ირჩეოდა ხოლმე სოფლელების საჩივრები (დ. კლდ.).

ე. ი. ყოველ შაბათს.

მუდამ შაბათობით ხოშის გამოჰქონდა ქმრის ლოგინი გარეთ (ვაჟა).

ე. ი. ყოველთვის შაბათს, ყოველ შაბათს.

[მგელი] მთელი დღეობით მშვიერი იყო (ი. გოგებ.).

ე. ი. დღეების განმავლობაში.

[გიორგი] გარინდებული იღო ხოლმე მთელი საათობით გულადმა (ილია).

ე. ი. საათების განმავლობაში, დიდხანს.

წლობით დაგროვილი გამოცდილება („ახალ. კომ.“).

ე. ი. წლების განმავლობაში.

ძველი აფიშა ხშირად თვეობით რჩებოდა (ხ. კლდ.).

ე. ი. თვეების განმავლობაში, თვიდან თვემდე, დიდხანს.

აქაც რამდენიმე შინაარსობრივი ჯგუფი შეინიშნება: მარტივად გამოიყოფა ჯგუფი ზმნისართებისა, სადაც აღნიშნულია დრო, რომლის განმავლობაშიც ხდება მოქმედება, მოქმედება აქ განგრძობილად ხდება. ჩვენს მაგალითებში ეს არის წლობით, თვეობით, საათობით, საუკუნეობით და სხვ. ჩვეულებრივ ეს ზმნისართები გადატანითადაა ნახმარი და საათობით, წლობით, თვეობით... აღნიშნავს დროის მონაკვეთს, ბევრჯერ აღებულს, დროის მონაკვეთს, დიდხანს რომ გრძელდება.

უფრო ძნელია დანარჩენი ორი ჯგუფის ერთმანეთისაგან გა-

თიშვა: ფრაზაში — „ორ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ ტარდება აგიტატორთა სემინარები“ — ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ ნიშნავს „ყოველ ორშაბათს“, ხოლო ფრაზაში — „ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი კლდეზედა“ — ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ უკვე აღარ ნიშნავს „ყოველ ორშაბათს“. ორშაბათ დღეს აშენებდნენ ხოლმე, მაგრამ ყოველ ორშაბათს იყო მშენებლობა თუ არა, — არ ვიცით, საეჭვოა. ამ შემთხვევაში ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ ნიშნავს „ყოველთვის ორშაბათს“, „ორშაბათ დღეებში“. ასევე: „ელაობა... ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ იციან (ივ. ჯავახ.). ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ აქ ნიშნავს „ყოველთვის ხუთშაბათს“, „ხუთშაბათ დღეებში“ — საპირისპიროდ იმისა, როცა ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ ნიშნავს „ყოველ ხუთშაბათს“ („განცხადებების მიღება წარმოებს... ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ“). ე. ი. ორშაბათობით (ხუთშაბათობით...) ნიშნავს როგორც „ყოველ ორშაბათს (ხუთშაბათს...), ისე — „ორშაბათ (ხუთშაბათ...) დღეებში, ჩვეულებრივ ორშაბათს (ხუთშაბათს...)“.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში -ობ-ით აფიქსით ნაწარმოები დროის ზმნისართებისათვის რამდენიმე ფორმულაა განმარტებისა:

ა) ზამთრობით — როცა ზამთარია (ზაფხულია), ზამთარში (ზაფხულში), ზამთრის (ზაფხულის) განმავლობაში.

ბ) გაზაფხულობით — ყოველ გაზაფხულზე, ყოველთვის გაზაფხულზე.

გ) დილაობით — ჩვეულებრივ დილით (სალამოთი, კვირას...), ყოველთვის დილით (სალამოს, კვირადღეს...).

დ) შაბათობით, სამშაბათობით, პარასკეობით — ყოველ შაბათს (სამშაბათ, პარასკევ დღეს...), შაბათ დღეს (სამშაბათ, პარასკევ დღეებში).

ე) ოთხშაბათობით, ორშაბათობით — ყოველ ოთხშაბათ (ორშაბათ) დღეს.

ვ) ხუთშაბათობით — ყოველ ხუთშაბათს//ხუთშაბათ დღეებში.

ეს განმარტებები ყველა სწორია, მაგრამ ხშირად ზოგი მათგანი ასახავს მხოლოდ ერთ მხარეს ზმნისართის შინაარსისას, კონკრეტულ ფრაზაში რომაა დამოწმებული. მაგ.: **დილაობით** განმარტებულია ასე: „ჩვეულებრივ დილით, ყოველთვის დილით, დილ-დილით“. ეს განმარტება კარგად წარმოაჩენს დამოწმებულ ფრაზებში ხმარებული **დილაობით** ზმნისართის შინაარსს („დილაობით კარგად ციოდა“, „ისინი დილაობით ივლიან“); მაგრამ ზოგჯერ **დილაობით** ფრაზაში — „დილაობით ფოსტალიონს მოაქვს გაზეთები“ — ნიშ-

ნავს „ყოველ დღით“ (შეადარე განმარტება ზმნისართებისა ორ-
შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ). ასევე განსხვავდება
ერთმანეთისაგან ზ ა მ თ რ ო ბ ი თ, ზ ა ფ ხ უ ლ ო ბ ი თ და გ ა -
ზ ა ფ ხ უ ლ ო ბ ი თ ზმნისართთა განმარტება: „**ზამთრობით (ზაფ-
ხულობით)** როცა ზამთარია (ზაფხულია), ზამთარში (ზაფხულში),
ზამთრის (ზაფხულის) განმავლობაში“; „**გაზაფხულობით** ყოველ გა-
ზაფხულზე, ყოველთვის გაზაფხულზე“. ამ ზმნისართთა განმარტება
ორივე ზემოხსენებული განმარტების ელემენტებს უნდა შეიცავდეს.
ასეა განმარტებული **ხუთშაბათობით**: „ყოველ ხუთშაბათს“. ყოველ-
კვირა, ხუთშაბათობით სოფიო აუცილებლად თეატრში მიდიოდა
(ი. გედევ.)//ხუთშაბათ დღეებში. ელიაობა ნააღდგომევეს სამ პირველ
კვირიაკეს ხუთშაბათობით იციან ხოლმე (ივ. ჯავახ.).

მაგრამ ამ განსხვავების დადგენა და მნიშვნელობათა გამიჯვნა
ზოგჯერ ჭირს. მაგ.:

„**გაზაფხულობით**“ ყოველ გაზაფხულზე, ყოველთვის გაზაფხულ-
ზე. თან მოვდევ გაზაფხულობით ენძელასა და იასა (შ. მღვიმ). გა-
ზაფხულობით ტყე სურნელს აფენს (ს. შანშ.). ყველაფერი ეს ხდება
გაზაფხულზე (ზოგადად), გაზაფხულების სისტემატური გამეორება
ივარაუდება, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ყოველი გაზაფხული არ
იგულისხმებოდეს (ისე, როგორც აუცილებლად ყოველი ორშაბათი
არ იგულისხმება ფრაზაში — „ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი
კლდეზედა“. ყოველი ორშაბათიც რომ არ ყოფილიყო, მაინც ორშა-
ბათების სისტემატური გამეორებაა, ბევრი ორშაბათებია).

სასურველია, **-ობით** სუფიქსით ნაწარმოები დროის ზმნისარ-
თები ლექსიკონში ერთგვაროვნად აიხსნას და განმარტებაში აიხსნოს
ყველა მნიშვნელობა, ეს აფიქსი რომ სძენს მათ.

ფრაზაში „მუდამ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ ხოშისა გამოჰქონდა ქმრის
ლოგინი გარეთ“ (ვაჟა) ავტორს საკმარისად არ მიუჩნევია ეთქვა: „შა-
ბათობით ხოშისა გამოჰქონდა ქმრის ლოგინი გარეთ“ და იმის აღსა-
ნიშნავად, რომ ეს ხდება სისტემატურად, ყოველ შაბათს, თქვა:
„მუდამ შაბათობით“. ანალოგიური შემთხვევები სხვადა გვაქვს; მა-
გალითად:

მეფემ უბრძანა სამ თავის მსახურს, რომ მუდამ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ მუცელა
აქლემზე შეესვათ (ვაჟა).

იმათ... დასდევს პირობა, რომ მათია ყოველ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ მზადვეს-
თან უნდა შეიყაროს ხოლმე (ა. ყაზბ.).

ბაყლის ბებერს მოჰქონდა ხოლმე დედაჩემთან ყოველ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ
და კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ერთი კერძი, საკმელი და პური (ლ. არღაზ.).

გამართა სალონი, საცა ყოველ შაბათობით იკრიბებოდნენ მთელ გუბერნიის მაღალი ჩინოვნიკობა და თავადაზნაურობა (გ. წერეთ.).

მუდამ შაბათობით, ყოველ შაბათობით, ყოველ კვირაობით, ისევე როგორც ყოველ დილ-დილით („ფრთოსანი [ნიბლია] ყოველ დილ-დილით მორთავდა ხოლმე მღერასა“ — შ. მღვიმ.), გამართვას საჭიროებს. შაბათობით, კვირაობით ფორმები თავად აღნიშნავენ რაიმე მოქმედების დროს, ისეთი მოქმედებისას, სისტემატურად რომ მეორდება. -ობ-ით აფიქსით აღინიშნება ეს შინაარსი და დართვა ყოველ და მუდამ სიტყვებისა უკვე საჭირო აღარაა. ბუნებრივია მუდამ შაბათს, მაგრამ არა მუდამ შაბათობით; ყოველ ხუთშაბათს, მაგრამ არა — ყოველ ხუთშაბათობით. ამ თვალსაზრისით გამართულია ვ. ბარნოვის ფრაზა: „აფუჟდა მტკვარი, საათობით იზრდებოდა, ძლიერდებოდა“, მაშინ როდესაც გამართული არაა გაზ. „კომუნისტში“ ნახმარი ასეთივე ფრაზა: „მას შემდეგ ზღვა ყოველ საათობით იზრდებოდა“.

ზემოთ ჩამოთვლილ ზმნისართებს სძენს შინაარსს -ობ-ით სუფიქსი, რომელიც რაიმე მოქმედების სისტემატურად გამეორებას გულისხმობს. გარდა ამისა, ამ აფიქსის საშუალებით ისიც აღინიშნება, რომ მოქმედება დროის მთელი მონაკვეთის განმავლობაში ხდება, და იგულისხმება, რომ დროის ეს მონაკვეთი ამ მოქმედებისათვის ძალიან ბევრია.

ოდენობის ზმნისართთა საწარმოებლად -ობრივ//-ობლივ სუფიქსიც გვხვდება. იგი იმავე შინაარსს გადმოსცემს, რასაც -ობით.

[განათლება] მისხლობრივ კი არ უნდა მიიღოს კაცმა, ფუთობლივ (შ. არაგვ.).

ე. ი. მისხალ-მისხალ, მისხლებად; ფუთებად, ფუთების რაოდენობით; ბევრი.

იაგორა... ცხელ-ცხელ გოგრას ნაჭრობლივ ხონჩაზე... ამზადებდა (ა. ხაზუტ.).

ე. ი. ნაჭრებად, ნაჭერ-ნაჭერ.

საინტერესოა, რომ -ობით და -ობრივ//-ობლივ სუფიქსებში ჩაქსოვილი სიმრავლის შინაარსი ზმნისართულად ნახმარ კომპოზიტებში უპირატესად სათანადო ბრუნვის ფორმით (-ობით, -ობრივ, -ობლივ აფიქსთა დაურთველად) გამოიხატება: დილ-დილით, თითო-თითოდ, ცოტ-ცოტად, ცოტ-ცოტათი, ღამ-ღამ, ღამ-ღამით, წვეთ-წვეთად...

მაგ.:

ეკალს თითო-თითოდ ამოიღებენო (ანდაზა).

მეფემ გახსნა კონა და თითო-თითოდ ისრები სულ მილეწ-მოლეწა (ი. გოგებ.).

თითო-თითოდ აქ ნიშნავს: „სათითაოდ“, „ცალ-ცალკე“, „თითო რამდენჯერმე გამეორებული“. შეიძლებოდა თითო-თითოდ კომპოზიტის მაგივრად თითოობით გვეხმარა. ფრაზებში კი, სადაც არის თითოობით, შეიძლება თითო-თითოდ გამოვიყენოთ. მაგ.:

მთვარე რომ ჩავა, ვარსკვლავნიც თითოობითა ქრებთან (ვაჟა).

კოლოტას უფრო სუფთა წნელი უნდოდა და სულ თითოობით უნდა მოერჩია (თ. რაზიკ.).

შეიძლებოდა თქმულიყო: „ვარსკვლავნი თითო-თითოდ ქრებთან“ ან — „წნელი თითო-თითოდ უნდა მოერჩია“.

ასევე, ერთმანეთს შეიძლება შეენაცვლონ წვეთ-წვეთად და წვეთობით. ფრაზებში — „ამევესო გული წვეთ-წვეთად ნალველითა და შხამითა“ (აკაკი) და „ტყემ... ცვარი ნელ-ნელა წვეთ-წვეთად გადმოყარა“ (ნ. ლორთქ.) — შეიძლებოდა წვეთობით ყოფილიყო ნახმარი.

ასევეა დილ-დილით, დილ-დილ, დილ-დილა.

[შემოდგომაზე] დილ-დილით წყლის პატარა გუბეებს ჰყინავს (ი. გოგებ.).

დილ-დილ ამოდის ბრწყინვალედ, სხივებს დააფრქვევს მთაზედა (ვაჟა).

დილ-დილა ხალისიანად იძახდი „კაფე-კაფესა“ (შ. მღვიმ.).

ამ კომპოზიტების ადგილას ყველგან დილაობით შეიძლებოდა ყოფილიყო ნახმარი, თუმცა დილდილობით ფორმაც გვხვდება:

დილდილობით ცვრიან ველზე ფეხშიშველას უნდა გვერბინა (აკაკი).

ბოლო დროს პრესის ენაში (და მხატვრულ ლიტერატურაშიც) გახშირდა -ობ-ით სუფიქსით ნაწარმოები ზმნისართები. ჩვეულებრივ ეს გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი ზმნისართებია, ბევრ დროს ან დიდ ოდენობას რომ აღნიშნავენ. ისინი გამოიყენეს რუსული часами, годами, месяцами თუ десятками, сотнями და სხვ. სათარგმნელად.

მაგ.:

ხანძარი გაჩნდა..., როცა იქ ასობით მყიდველი იმყოფებოდა.

ათობით სახანძრო რაზმი სასწრაფოდ მოვიდა შემთხვევის ადგილას („კომუნ.“).

გამოდის სხვადასხვა მიმართულების ასობით ეურნალ-გაზეთი, ალმანახი, კრებული („ციცკარი“).

ახალ საცხოვრებელ კვარტალებში ათასობით ოჯახი ბინადრობს („თბილისი“).

თვეობით ჩაბნელებული ქუჩა („თბილისი“).

ბინები თვეობით, წლობით გამოკეტილია („თბილისი“).

დაე, უბრად მსხდარიყვნენ საათობით, თვეობით, წლობით...

(ო. ქილ.).

ერთ-ერთ თარგმნილ წიგნში (ფ. ბერიძის თარგმანი პოლ-დე-კრაიფის წიგნისა „სიგიჟესთან ბრძოლა“), რომელშიც 245 გვერდია მომცრო ფორმატისა, 27-ჯერ არის ნახმარი -ობ-ით აფიქსიანი ზმნისართი.

იხმარება ათობით, ასობით და არა ათეულები, ასეულები. Часами შეიძლება ეთარგმნათ როგორც „საათების განმავლობაში“, годами — „წლების განმავლობაში“ და სხვ., მაგრამ მხარი უნდა დავუჭიროთ საათობით, წლობით, თვეობით, ათობით, ასობით, მილიონობით და სხვ. ფორმებს. ეს წარმოება ბუნებრივი ქართულია, ეკონომიურია და შინაარსსაც ზუსტად გადმოსცემს: საათების, წლების, თვეების სიმრავლეა, მათი გამეორებაა და ამიტომ -ობ-ით სუფიქსია გამოყენებული; მრავალი ათია, მრავალი ასია და ამას -ობ-ით სუფიქსიანი ფორმა გადმოსცემს. იქ, სადაც სიმრავლე არ შეიგრძნობა, ეს აფიქსიც აღარ გამოიყენება.

მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ენაში გავრცელებული იყო ხნობით ზმნისართი. მაგ.:

[იგი] უფრო საღამოს ხნობით გამოდიოდა (ილია).

საფრანგეთში მოკლე ხნობით იღებენ წილზე ადგილ-მამულებსა

(ილია).

„გთხოვთ... მარტოდ სადმე მცირე ხნობით დეზდემონასთან მალაპა-რაკოთ (ი. მაჩაბ. თარგმ.).

კატა მხოლოდ ცოტა ხნობით დგებოდა (თ. რაჭიკ.).

დღეს აქ ყველგან ვიხმარდით ხანს, ხანში (ხანებში), ხნით.

-ობ-ით სუფიქსიან ზმნისართთა ფორმის შესახებ ის შეიძლება ითქვას, რომ წარმოშობით იგი რთულია და ასეთი შედგენილობისა ჩანს: ფუძე -ობ-ა-ით². ამჟამად აფიქსები შერწყმულია და ერთ მ-

² ა. შანიძე სახელთა წარმოებაზე მსჯელობისას, -ობა სუფიქსს რომ ეხება, გამოყოფს -ობა-თი ნაწარმოებ ზმნიზღღურ გამოთქმებს წონა-ზომისა და სხვა სახელთაგან. მაგალითებად დასახელებულია: გირვანქობით, ფუთობით, მეტრობით, ასობით, ათასობით, პროცენტობით, თვეობით, წლობით და მისთ. ამ სიტყვებისათვის ნიშანდობლივად მიჩნეულია -ობა მაწარმოებელი („ქართული გრამატიკის საფუძვლები“, გვ. 132, თბილისი, 1953 წ.).

წარმოებელზე, -ობ-ით სუფიქსზე და შეიძლება ვიმსჯელოთ. ზმნი-
სართულად ნახმარი -ობა მაწარმოებლიანი სახელების მოქმედებით
ბრუნვაზე ვეღარ ვილაპარაკებთ, რადგან არ არსებობს გირვანქობა,
ფუთობა, მეტრობა, ასობა, პროცენტობა, წლობა და სხვ. (პარას-
კეობა, შაბათობა ტიპის სიტყვები მხედველობაში არაა მისაღები,
რამდენადაც სხვა შინაარსის შემცველია). გირვანქას, მეტრს, წელს
და სხვ. ერთვის -ობ-ით სუფიქსი და ვიღებთ სათანადო ზმნისარ-
თებს, რომლებიც აღნიშნავენ რამდენჯერმე გამეორებულ რაიმე ერ-
თეულს.